№ 2961
პარასკევი,
2 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2961
პარასკევი,
2 დეკემბერი

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896–1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

იპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—39)

მ ო წ ო დ ე ბ ა

ყველა მანდილოსანთ ეროვნებისა და სოციალურ მდგომარეობის განურჩევლად.

ხშირ გაფიცვებისა და მისვლა-მოსვლის შეწყვეტის გამო, დაგვიანდა გამოწერილ სხვა და სხვა საქონლის მიღება. ამის მიზეზით ვაჭრობა შეფერხდა. ამიტომ

ა. ო. მელიქ-მუშკამბარიანცის

სამოდო და სამანუფაქტურო საქონლის მაღაზია (გოლოვინის პროსპ., № 16, სახლი სტეფანოვისა), რომელსაც აქვს 125.000 მანათის საქონელი, მიღებული გაფიცვებამდე რამდენისამე დღის წინად,

ნ ი შ ნ ა ვ ს

დიდს და იაფს გასყიდვას ამა წლის 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე მხოლოდ საფაბრიკო ფასებით.

გაისყიდება ბევრი სხვა და სხვა მატერია დედა-კაცისა და მამა-კაცის ტანისამოსისათვის: აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს, ქაღალდის ნაქსოვისა. გარდა ამისა, საბნები პლიუშის, ბაიკის, ნაქსოვი და სხვა საქონელი.

ისყიდება შეუვაჭრებლად
(10—5)

ეკატერინე აბრამის ასული, მარიამ ივანეს ასული და **პეტრე ივანეს ძე თოფურია** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის ქალიშვილის, მეორისა და მესამისა დის

სოფიო ივანეს ასულის ციმაკურიძისას.

მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს, 3 დეკემბერს, დილის 9 საათზე საკუთარ სახლიდან, დიდუბეში, ქუთაისის ქუჩაზედ სახლის № 14 დიდუბის ეკკლესიაში და შემდეგ კუკიის სასაფლაოზე.

ტფილისი, 2 დეკემბერი.

უპრინციპო მოღვაწეებს. ჩვენი ქვეყნის ის საზოგადოებრივი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ის ანტისაზოგადოებრივი წრეები, რომელნიც დღემდე თვითმპყრობელ მთავრობის გამაბრუებელ მლიქვნელობისა და ალერსისაგან დამთვრალნი, ყრუ-მუნჯებად ქცეულნი, დინჯად მხარ-თეძოზე იყვნენ წამოწოლილნი და მუდამ ახალ-ახალ წყალობას გამოითხოვდნენ მეფის მმართველობისაგან,—ჩვენი თავადები, აზნაურები, ბურჟუები და უპრინციპო ინტელიგენტები დღეს საჯაროდ, თავად-აზნაურთა საკრებულოში გამართულს კერძო კრებაზე თითქმის აცრემლებულის გულწრფელობით უსაყვედურებენ ქართულს პრესსას და სარევოლიუციო ორგანიზაციებს, უსაყვედურებენ გულჩახვეულობას, გულჩათხრობილობას, ცრუობას და შიშ... დიახ, მრავალნი ორატორნი, კრებაზე დამსწრე საზოგადოებისაგან აპლოდისმენტებით დაჯილდოვებულნი, გვისაყვედურებენ მშიშარობას რაღაცის და ვიღაცის წინაშე, რის გამოც ჩვენ ვითომც ვერ გაგვიბედნია პირდაპირ გამოვთქვათ „ჩვენი ქართული მისწრაფება“, „ქართული იდეალი“, ვერ გაგვიბედნია, პირდაპირ ვემსახუროთ მათ და სხვა და სხვა ნიღაბის ქვეშ არ ამოვაფაროთ თავი.

ამგვარი საყვედური ჩვენს თვალში არც მოულოდნელია, არც საკვირველი, პირიქით სოცარი უფრო ის არის, რომ ეს ვაჟბატონები დღემდე ჩუმად იყვნენ და გულუბრყვილობის ცრემლები აქამდე არ დაღვარეს. თვითმპყრობელ მთავრობისაგან მცონარეობას მიჩვეული, გარეშე წყალობათაგან გარყვნილი, მთავრობისაგან მათრახით და ხიშტით უზრუნველყოფილ მყუდროებაში აღზრდილი, თვითმოქმედების გრძნობა დაკარგული, სხვისა შრომით და მეცადინეობით განებივრებული საზოგადოებრივი წრეები სხვას რას მოისაზრებენ, რას შესთხზავენ, თუ არ იმას, რომ მათის ინტერესების და აზრების დაცვა მათ მაგიერ სხვებმა უნდა იკისრონ?

ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიულ და საზოგადოებრივ წრეების წინაშე დღე მუდამ ერთი მეორეზე მეტად თავზარ დამცემი ისტორიული ამბები ჰხდება. საყოველთაო, სრულიად რუსეთის სარევოლიუციო მოძრაობა ერთის მხრივ და თათარ-სომეხთა ომიანობა მეორის მხრივ ცხად ჰყოფენ, რომ არავითარ იმედის დამყარება ეხლანდელ მთავრობაზე არ იქნება, არ იქნება იმიტომ, რომ თვით მთავრობა უღონო შეიქნა. თვითმპყრობელობისაგან განებივრებული საზოგადოებრივი წრეები იმდენად უჩვევნი არიან **თვითმოქმედებას**, რომ მათს აზროვნებაში ამ ცნებას სულ არ მოეპოვება ადგილი; მათის შეხედულებით პრესსა და სარევოლიუციო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მთავრობის დაუძლურების შემდეგ ნებაყოფლობით იკისრონ ბურჟუაზიულ და ფეოდალურ წრეების ინტერესების და იდეალების დაცვა; პრესსამ წინანდელ ოფიციალურ „ოტნოშენიების“ როლი უნდა შეასრულოს და რევოლიუციის მებრძოლმა ორგანიზაციებმა წინანდელ საპოლიციო რაზმებისა. ბიუროკრატიულ რეჟიმის ამ პირმშო შვილებს ისეთს უტყუარ ჭეშმარიტებად, ისეთ უზადო სიმართლედ მიაჩნიათ თავისი შეხედულება, რომ ერთხელაც არ უელვებთ დაჩლუნგებულს გონებაში ეჭვი და გულწრფელად სწამთ, რომ თუ ჩვენ მათს ინტერესებს არ ვიცავთ, მათს იდეალებს არ ვქადაგებთ,—ეს შიშით მოგვდის. დიაღ, შიშმა მოუკლა იმ თავითვე ჩვენს თავად-აზნაურობას საზოგადოებრივი თვითმოქმედება, შიშმა გამოაცხადებინა იმას ასის წლის ეროვნულ მონობის თავზე ერთგულობა ჩვენი ერის განვითარების შემბოჭველ რეჟიმისადმი, შიშმა გაამართვინა ჩვენს ბრწყინვალე წოდებას ბრწყინვალე დღესასწაული ქართველ მშრომელ ხალხის ასის წლის განმავლობაში ფეხით თელვის და განიავების აღსანიშნად, შიშს კარგად იცნობს იგი, ისე კარგად, რომ თავგანწირულ მებრძოლთა რწმენის ადგილას წარბშეუხრელად აყენებს იგი შიშს... კმარა! შიში და სიცრუე თქვენს მხარეზე ეძიეთ, მანდ უფრო ადვილად იპოვით.

მას შემდეგ, რაც სარევოლიუციო ტალღისაგან შერყეულმა მთავრობამ ხელი აიღო თქვენს მფარველობაზე, ბ-ნნო თავადნო, აზნაურნო, ბურჟუებო და უპრინციპო ინტელიგენტებო, მას შემდეგ თქვენ ბუნდად ჰგრძნობთ, რომ საჭიროა ორგანიზაციონური საზოგადოებრივი თვითმოქმედება, მაგრამ დღემდე ვერც ის მოგიხერხებიათ, რომ ერთ-ერთ არსებულს ქართულს სოციალისტურ პარტიას მიუკედლდეთ, და ვერც ის, რომ თქვენთვის საკუთარი პარტია დაიარსოთ. თქვენ დღემდე ვერ მოგიხერხებიათ საკუთრად თქვენის აზრების გამომხატველი გაზეთი გაიჩინოთ, იმდენი ძალა ვერ მოგიგროვებიათ, რომ ერთი პატარა პროკლამაციის გამოცემით მაინც ამცნოთ ქვეყანას, რომ არც ერთს ქართულ სარევოლიუციო ორგანიზაციას არ ემხრობით, და ეგრედ წოდებულ კერძო კრებებზე-კი რიხიანად გაიძახით, რომ ყველანი სტყუიან, ცბიერობენ და მართალნი-კი მარტოოდენ თქვენ ხართ.

კმარა ამდენი ცუღლუტობა! კმარა ის სიტყვათა შადრევანიც, რომლითაც დღემდე რწყავდით თქვენის კერძო კრების დარბაზებს! გამოიბღერტეთ ყური და შეისმინეთ, რომ თქვენი დაუსრულებელი „რეჩები“ თქვენს დაუსრულებელს კრებებზე უძლურების ცრემლს იქით ვერსად წაგიყვანთ! შეისმინეთ ეს და ისე იმოქმედეთ.

ჩვენ, როგორც მშრომელ ხალხის ინტერესების და იდეალების დამცველები, თქვენთან ხშირად მოგვსლია შეტაკება და მომავალში კიდევ უფრო ხშირად მოგვივა, მაგრამ წინად რაინდები და ეხლა კლასსთა ბრძოლის თეორია ამბობენ, რომ შეიარაღებულ მტერთან ბრძოლა სჯობია უიარაღო მოწინააღმდეგის ფეხით გასრესასაო, და რადგან ეხლანდელ სოციალურ ბრძოლის მთავარი იარაღი ორგანიზაციაა, ამიტომ ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით თქვენ სოციალურ მისწრაფებებს და დაუყოვნებლივ გაგიმკლავდებით ყველგან, სადაც-კი მშრომელ ხალხის ინტერესების დაჩაგვრას განიზრახავთ ან იმის იდეალებს გადაელობებით წინ.

ჩვენ ველით თქვენს გამოსვლას და მაშინ ვნახავთ, ვინ არის მხდალი, ვინ არის მშიშარა და ვინ ჰმალავს ცხვირპირს პირბადის ქვეშ.

* * *

მთავრობის განცხადება

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

პეტერბურგი, 27 ნოემბერი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველმა ცირკულიარით აუწყა, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა საერთო კავშირის დაარსების ნების მიცემა ყოვლად შეუძლებელია. ის მოხელენი, რომელნიც კავშირის დაარსებისკენ მიისწრაფიან, დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან. დაითხოვენ აგრეთვე არეულობისთვის წამქეზებელთ და იმათაც, ვინც თავის ნებით მიატოვებს მეცადინეობას. ადგილობრივმა მთავრობებმა უნდა გამოიკვლიონ, რომელმა მოხელემ მიატოვა სამსახური შიშისა ან სულმოკლეობის გამო და რომელმა შეგნებულად. პირველების უკანვე მიღება შეუძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მათ წილი არ უდევთ კავშირში. მათ ჯამაგირი მიეცემათ გაფიცულ დღეების გამოკლებით. მთავარი მეამბოხენი და წამქეზებელნი და აგრეთვე ტელეგრაფის მავთულების დამგლეჯელნი და აპარატების გამფუჭებელნი სამართალში იქმნებიან მიცემულნი. სახელმწიფო სადგომები, სადაც მოხელენი ცხოვრობენ, უნდა დაიცალოს იმ ვადაზე, რომელიც დამოკიდებული იქმნება მათს ოჯახურს მდგომარეობაზე. იმ 500,000 მანეთიდან, რომელიც სამინისტროს მმართველის განკარგულებაშია, დახმარება აღმოუჩნდება იმ სულ მოკლე მოხელეებს, რომელნიც შეინანიებენ და რომელნიც გაფიცვამდე ერთგულად და გულ მოდგინედ მსახურობდნენ.

ცირკულიარი ჰკიცხავს ადგილობრივ ფოსტის იმ მთავრობებს, რომელნიც შეთანხმებას ახდენდნენ გაფიცულებთან და ჯამაგირს ურიგებდნენ მათ. ცირკულიარის ბოლოში მადლობა ეცხადებათ იმ მოხელეებს, რომელთაც არ შესწყვიტეს მუშაობა. სამინისტროს მმართველი აღთქმას აძლევს მათ, რომ სანამ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩემ ხელში იქმნება, მანამდე არ დაგივიწყებთ თქვენაო.

დაატუსაღეს მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ხრუსტალევ-ნოსარი და ბეჭდვით საქმის მუშების კავშირის თავმჯდომარე კისელევი.

* * *

რევოლიუცია რუსეთში

გენ. სახაროვის მოკვლის შესახებ გაზეთები გადმოგვცემენ, რომ მას პლევეს დრო აღუდგენია გუბერნიაში. ჯერ კიდევ ეხლანდელი მოძრაობა არ დაწყებულიყო, რომ გამოვიდა მანიფესტი, რომლის ძალითაც გლეხების ცემა იკრძალებოდა, ნამინისტრალი გენ. სახაროვი ეხლა, თავისუფლების მანიფესტის გამოსვლის შემდეგაც კი არხეინად ხმარობს „როზგებსა“. ს. ხოვანშჩინაში მისულა გენერალი და წაუყვანია თან გუბერნატორი, ყაზახები და არტილლერია. გლეხებს ყაზახები გარს შემორტყმიან და გენერალს მიუმართავს გლეხებისათვის სიტყვით. თავის სიტყვაში მან თურმე აღნიშნა 17 ოქტომბრის მანიფესტის მნიშვნელობა და აუხსნა, რომ მე მშვიდობიანი საშუალებით მოქმედებისათვის მოვედიო. დასასრულ მოუთხოვნია, რომ გლეხებს გაეცათ აგიტატორები. ამის შემდეგ გლეხების მხრივ გასულა 2 ორატორი, მაგრამ მათთვის ლაპარაკი არ დაუცლიათ, სცემიან ყაზახები და დაუწყვიათ უწყალოდ ცემა. მაშინ გენერალი სასოფლო სამმართველოში შესულა და გლეხებიც იქ მიუხმია. გენერალს დაუწყია გამოკითხვა: „გამოტყდი, ცეცხლი ხომ არსად წაგიკიდნია ან ხომ არავინ გაგიძარცვავსო!“. „არა, თქვენო აღმატებულებავ“, ეუბნება გლეხი, მაგრამ გენერალი ამის თქმასაც არ აცლის და ყაზახებს აცემინებს. ყაზახები არ ინდობენ არც ახალგაზდას და არც მოხუცებს. ზოგიერთი გლეხი მართლაც „გამოტყდა“ დანაშაულში, რადგან მათრახები მეტად მწვავე იყო. ცემის შემდეგ გუბერნატორმა რაღაც განაჩენი წაიკითხა და უბრძანა გლეხებს ხელი მოეწერათ. გლეხები გაჰკვირდნენ, არ მოელოდნენ ამას, მაგრამ მათრახებმა ეს გაკვირვება მალე დაავიწყებინათ და გლეხები იძულებულნი გახდნენ მთრთოლვარე ხელით მოეწერათ ხელი იმ განაჩენზე, რომლის შინაარსი არც კი იცოდნენ.

ამ ამბავში მონაწილე ყაზახები თურმე ყველანი მთვრალები იყვნენ. ასე აბრუნებდა გენერალი თავისდა რწმუნებულ გუბერნიაში ძველ ბარბაროსულ დროს და ავიწყდებოდა, რომ ხალხის მოთმინების ფიალა უძირო არ არის, ავიწყდებოდა ის რევოლიუციონური გრიალი, რომელიც გაისმის მთელ რუსეთში. გენერლის აღსასრულიც დადგა, ბოლო მოუღეს, მაგრამ ეს ბოლო არ არის და არც იქნება ბოლო, ვიდრე სახაროვები, ნეიდგარტები და დურნოვოები სახელმწიფოს ბედ-იღბალს განაგებენ. ხალხი არ დამშვიდდება, სანამ მთელის რუსეთის ადმინისტრაცია არ გამოიცვლება. დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ სახაროვი მოკლულ იქმნა. ის შეიქმნა მსხვერპლი სოც.-რევოლიუციონერთა მოძრავ რაზმის წევრისა.

ამას თუნდა დავუმატოთ ეკატერინოდარი, კიევი და ნოვოროსიისკიც კმარა. ამაზე გუშინაც გვქონდა ლაპარაკი. დღეს დავუმატებთ მხოლოდ იმას, რომ თურმე ეკატერინოდარიც აჯანყებულ ჯარის ხელში ყოფილა, ჯარს მთელი არსენალი ხელში ჩაუგდია, ისე რომ ადმინისტრაციას ყაზახები ვერ შეუიარაღებია მათ წინააღმდეგ გამოსაყვანად. ქალაქში თურმე იმართება მიტინგები ჯარისა და მუშებისა. მიტინგზე იწვევენ სოციალდემოკრატიის წარმომადგენელთ. ზოგიერთმა წინადადება შეიტანა, ნოვოროსიისკში წავიდეთ, იარაღი დავურიგოთ მუშებს და ჩვენც მათ შევუერთდეთო.

კოვნოს გუბერნიის დაბა ვოლკოში აჯანყებულა დრაგუნთა მერვე პოლკი. კოვნოდან გამოუწვევიათ ჯარი.

ლომჟის გუბერნიის ქ. ოსტროლენკაში აჯანყებულა დრაგუნთა მე-14 პოლკი, საპიორებიც მათ შეუერთდნენ თურმე.

ვარშავაში ლიტვის რაზმი აჯანყებულია. ჯარის კაცნი იმუქრებიან, რომ, თუ ჩვენ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებთ, გამოვალთ ქუჩაში და კიდევ სხვა მოთხოვნას წარმოვადგენთო. ერთი როტა სალდათებისა, რომელმაც უარი სთქვა რაღაც ბრძანების შესრულებაზე, ყაზახებს შუაში მოუმწყვდევიათ.

რემბერტოვში, ვარშავის ახლოს, არტილლერისტები აჯანყებულან; ამათთვის ვარშავაში მყოფ არტილლერისტებსაც მიუბაძავთ.

ვიბორგში ფინლიანდიის პოლკშიაც დიდი მოძრაობაა. ამათ თავის გენერალისათვის წარუდგენიათ მოთხოვნა და დაუნიშნავთ ვადა. ამათ მოთხოვნას შეუერთდნენ მერვე პოლკის სალდათები. ელიან, რომ ქ. ვიბორგის მთელი გარნიზონი აჯანყდება.

* * *

ახალი ამბავი

◆ **რ. სტურუას ცხედრის წინაშე.** გუშინ, 1 დეკემბერს, ტფილისის მშრომელმა ნაწილმა და თანამგრძნობლებმა პატივი სცეს უდროვოდ დაკარგულ რაჟდენ სტურუას ცხედარს. განსვენებულ მებრძოლის გვამი ამ ორი დღის წინად უმღვდლოდ გადაასვენეს მიხეილის საავადმყოფოდან ნაძალადევის ეკკლესიაში. გუშინ ათი საათიდანვე დაიწყო ხალხმა დენა ნაძალადევისკენ. 11 საათზე უკვე რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა. ცხედარი ეკკლესიიდან მოედანზე გაასვენეს და იქ კუბოს წინაშე დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა. სიტყვა წარმოსთქვა ყველა პარტიის და ორგანიზაციის წარმომადგენელმა. დაასურათეს განსვენებულის თავ-განწირული მოქმედება მოძმისთვის, შეეხნენ აგრეთვე თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებას. სხვათა შორის, სიტყვა წარმოსთქვა ერთმა სალდათმაც. ყველა პარტიამ და ორგანიზაციამ კუბო გვირგვინით შეამკო. გვირგვინებს წითელი ლენტები ჰქონდა შესაფერის ზედ-წარწერით. ცერემონია თითქმის საღამოს ოთხ საათამდე გასტანა. წუხელ განსვენებულის გვამი დასავლეთ საქართველოში უნდა წაესვენებინათ სამშობლო სოფელში დასაკრძალავად.

◆ **თათარ-სომეხთა დეპეშა.** ტფილ. ქალაქის თავის მოადგილემ თავ. ჩერქეზიშვილმა, გამგეობის წევრთ თავ. არღუთინსკიმ და კოკჩაევმა, პოლკ. იბრაგიმ-ბეგ ვექილოვმა და გისმანსკიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს გავლენიან მაჰმადიანებს ბაქო-ერევნისაკენ: „30 ნოემბერს ტფილისში სომხებმა და მაჰმადიანებმა ზავი დასდეს. ათას სამასი მაჰმადიანი, დარწმუნდა რა, რომ იმათ ერთ მორწმუნეთ შიში არ მოელით, სახლში დაბრუნდნენ. მაჰმადიანთა და სომეხთა მიერ არჩეული კაცები შეუდგნენ მკვიდრ ზავის პირობათა შემუშავებას. მიიღეთ სასტიკი ზომები უწესოების მოსასპობად. ორ ან სამ დეკემბერს პირადად ჩამოვალთ ზავის პირობების გამოსაცხადებლად. მშვიდობიანობა დაიცვით“.

◆ **სომეხ-თათართა შერიგება.** გუშინ, 1 დეკემბერს, თავ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა მაჰმადიანთა და სომეხთა წარმომადგენლების კრება. დაესწრო 24 მაჰმადიანი და 34 სომეხი. კრებამ გაიცნო წინადადებანი მაჰმადიანებისა. კარგა ხანს კამათის შემდეგ კრებამ მიიღო წინადადება ერთის სომხისა—მოწვეულ იქმნას სრულიად კავკასიის მაჰმადიანთა და სომეხთა კრება ხოცვა-ჟლეტის მიზეზთა გამოსარკვევად და იმ საშუალებათა შესამუშავებლად, რომელიც ბოლოს მოუღებს ამ ხოცვა-ჟლეტას.

◆ **კიდევ უდანაშაულო თათრების დახოცვის შესახებ.** 29 ნოემბერს, როგორც ვწერდით, პოლიციის მე-3, 8 და 9 ნაწილებში სხვა და სხვა ადგილას სომხები თავს დაეცნენ ქალაქში შემოსულ 10 თათარს, აქედან შვიდი კაცი აჰკუწეს და მოჰკლეს, ხოლო სამი რაღაც განგებით გადარჩა. ორი კაცის იარმუკაში მოკვლის ამბავი უკვე აღვნიშნეთ. მნახველთაგან დანამდვილებით გავიგეთ, როგორ მოჰკლეს სამი კაცი ნიკოლოზის მოედანსა და ელისაბედის ქუჩაზე, „სემეინი“ სასტუმროს პირდაპირ. თავ. გ. ანდრონიკაშვილს უნახავს, რომ ათი მუშა თათარი ავჭალის ვაგონით ჩამოსულა ელისაბედის ქუჩამდე. როცა ვაგონი გაჩერებულა, თათრები ჩამომხტარან და სხვა და სხვა გზით წასულან. მნახველები ამბობენ, ამ თათრებს, როგორც ეტყობოდათ, არ უნდა სცოდნოდათ, რომ ტფილისში თათრებსა და სომხებს შორის ჟლეტა-ხოცვა იყოო. ორმა თათარმა ჩაუხვია ელისაბედის ქუჩაზე, იქ, სადაც „სემეინი“ სასტუმროა, სამი კიდევ ნიკოლოზის ქუჩით საკომერციო სასწავლებლისკენ წავიდა. იმ ორს თათარს, რომელთაც ელისაბედის ქუჩაზე ჩაუხვიეს, რევოლვერებით და ხანჯლებით გამოედევნა ათზე მეტი სომეხი. როცა თა-

თრები „სემეინი" სასტუმროს გაუსწორდნენ, წინ გადაეღობნენ რიყის ქუჩიდან მომავალი სომხები. ამ რიგად სომხებმა შეჰკრეს ელისაბედის ქუჩა, თათრები შუაში მოიმწყვდიეს და ჩხრეკა დაუწყეს. შეშინებული თათრები იძახდნენ: „ბოსტანჩი, ბოსტანჩიო", ვითომ მებოსტნეები ვართო. მნახველნი ამბობდნენ, რომ თათრებს იარაღი არა ჰქონდათო. ბოლოს რევოლვერები დაუშინეს და ბებუთ-ხანჯლებით მიჰვარდნენ. ერთი იქვე მოჰკლეს, ხოლო მეორე, ძალზე დაჭრილი, ეტლში ჩააგდეს და სადღაც წაიყვანეს. სომხები ნიკოლოოზის ქუჩით რიყისკენ მიმავალ სამს თათარსაც წამოეწივნენ. ერთი მოჰკლეს, ხოლო ორი სალდათებმა გადაარჩინეს.

✦ **გრაფ ვიტტეს გადადგომა.** ხმა დადის, რომ გრაფი ვიტტე გადადგა და იმის ადგილას დანიშნეს გრაფი იგნატიევიო. იგნატიევი ძველ წეს-წყობილების მომხრეთა მეთაურია.

✦ **დეპუტაცია.** ნამესტნიკის მოადგილეს გენ. მალამას გუშინ-წინ წარუდგა ქ. დუშეთის დეპუტაცია და მოსთხოვა იარაღი და ყაზახების გაყვანა ამ მაზრიდან. გენ. მალამამ იარაღზე უარი უთხრა, ხოლო ყაზახების გაყვანას-კი დაჰპირდა. იარაღის სათხოვნელადვე აპირებდა შესვლას დუშეთის მაზრის გლეხთა დეპუტაცია, მაგრამ რადგან მოქალაქეთა დეპუტაციას უარი უთხრეს, გლეხთა დეპუტაცია აღარ შესულა.

✦ **ჯარის თავგასულობა.** იმერეთში ჯარი, როგორც მკითხველმაც უწყის, დაყენებულია სამოქალაქო მთავრობის საშველად. ნამდვილად-კი, შველის ნაცვლად, ზოგი ჯარი და განსაკუთრებით ყაზახები მშვიდობიანობას არღვევენ. მაგალითი ამისა მრავალია და ერთი თვალსაჩინო სენაკშიაც მოხდა. სენაკში დაბინავებულია ორი როტა ქვეითი ჯარისა, ერთი ბატარეა და 20 ყაზახი. წარსულ კვირას მთვრალი ფელდფებელი მისულა ერთ სასტუმროში იმ დროს, როცა იქ რამდენიმე ახალგაზდა ქეიფობდა. ფელდფებელსა და მოქეიფეთ ლაპარაკი მოსვლიათ და, როგორც მოსალოდნელი იყო, სამხედრო კაცს საქმე გასჭირვებია და დაუწყია ღრიალი, რომ ჯარსა ხოცავენ და გვიშველეთო; ეს გაუგონიათ მახლობლად მყოფ სალდათებს, მისულან და გამართულა [illegible] რომლის დროს ერთი ჯარის-კაცი [illegible] დაუჭრიათ ფეხში. ეს რომ გაუგიათ [illegible] კაცებს, ერთიანად გამოსულან ბინი[illegible] დასევიან სასტუმროს და მთლად [illegible] წიათ ფანჯრები. ამით შეშფოთებუ[illegible] ნაკელნი შეკრებილან და გადაუწყვე[illegible] დაჭრილ სალდათის ზარალის საზღაუ[illegible] სცენ 100 მანეთი და დამნაშავე მოქეიფენი-კი დასაჯონ. სალდათები რომ დაკმაყოფილდნენ, ჯერი ყაზახებზე მიდგა და მერე საპოლიციო საეროზო დარაჯებზე, რომელნიც თურმე ხალხს ემუქრებიან და ამოწყვეტას უქადიან. საქმე იქამდის გამწვავებულა, რომ სენაკის ჯარის უფროსისათვის მიუმართავთ თავ-გასულთა შესაკავებლად.

✦ **ჯარის უკმაყოფილება.** ქალაქ ყარსიდან გვატყობინებენ: 28 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, რაღაც ხმაურობა და ორონტრიალი ასტყდა. ხალხი გამოეფინა ქუჩებში და შეამჩნია, რომ სათადარიგო ჯარის-კაცები უთოფოდ, ჯოხებით ხელში და სამხედრო მუსიკით გამოსულიყვნენ, გუბერნატორის კანცელარიისკენ მიდიოდნენ, თან იძახდნენ: „დაგვითხოვეთ, გვეყო მოცდა, გავათავეთ ყაველი სამსახურისაო!" მივიდნენ ყაზარმებთან, გამოეგებნენ არტილერისტები თოფებით და უნდა შეეჩერებინათ. სათადარიგო ჯარიდან გამოდგა ერთი ჯარის კაცი ებრაელი და მიმართა არტილერისტებს სიტყვით, რის შემდეგაც არტილერისტები გაბრუნდნენ. სათადარიგო ჯარის-კაცები შეიპირა ადგილობრივმა მთავრობამ, რომ ხვალ დაგითხოვთო. მართლაც მეორე დღეს ერთი ნაწილი ჯარისა დაითხოვეს, მხოლოდ გააფრთხილეს წყნარად და მშვიდად იმოგზაურეთ ქუჩებში და ვოკზალზედ დემონსტრაცია არ მოახდინოთო. 29-დან სათადარიგო ჯარის-კაცთა დემონსტრატიულად სიარული შესწყდა, მაგრამ ეხლა მეორე ნაწილი დარჩენილ ჯარისა აპირებს სრულ აჯანყებას, თუ არ გაანთავისუფლეს.

✦ **სათადარიგო აფიცრების დათხოვნა.** გუშინ, 1 დეკემბერს, მთავრობამ ბრძანება გასცა სათადარიგო აფიცრების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

✦ **მთიულთა გაჭირვება.** როგორც მთიულეთიდან გვატყობინებენ, იქაურ ბოქაულს ბ-ნ ანტონოვს პროვაკაციის ქსელი იმდენად გაუბამს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ხალხს ველარ მოუხერხებია თავისუფლად შეკრება და მოლაპარაკება.

✦ **რკინის გზის მოხელეთა მოთხოვნა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელენი ერთ ხმად თხოულობენ, აღარ გამოერიცხოთ ჯამაგირიდან ფული საპენსიო კასსისთვის; აგრეთვე დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ აქამდი გამორიცხული ფული.

✦ **შემწეობა თათრებს.** ექიმ შჩერბინინისამ ტფ. ქალაქის გამგეობას რამდენჯერმე სთხოვა პური, ფული და სხვა სანოვაგე თათრის უბანში დაჭრილ თათრებისთვის. ექიმი ატყობინებს, ეს დაჭრილნი შიმშილსა და გაჭირვებაში არიანო. გამგეობას მშიერთათვის მხოლოდ 25 მან. გადაუდვია.

✦ **ბაქო ყარსის მხრიდან რკინის გზაზე მიღებული დეპეშები.** ალექსანდროპოლი, 30 ნოემბერი. სახალხო მატარებლებს ეცემიან სომხები და მგზავრებს სძარცვავენ.

იქიდანვე, 30 ნოემბერი. ასადბეკ სულთანოვისაგან. რადგან აგიტაციას ხელს არავინ უშლის, თათრებმა გადასწყვიტეს, გაანადგურონ სომხების შენობა. საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიგზავნოს სამხედრო ძალა. უღონო ვარ აგიტაციის წინაშე.

✦ **შემოწირულება სანიტარულ რაზმს.** რ. ს. დ. მ. პ. ადგილობრივ ორგანიზაციასთან დაარსებული სანიტარული რაზმი აგროვებს (საკვიტ. წიგნაკებით) შემოწირულებას ფულითა და ნივთებით. შემოწირულება ჩვენს რედაქციაშიაც მიიღება.

✦ **ფ.-ტ. მოხელეთა ბიუროს დეპეშა.** ადგილობრივ ბიუროს გუშინ შემდეგი დეპეშა მოუვიდა მოსკოვიდან: „მაგრათა ვართ. ვიბრძოლებთ, სანამ სრულიად არ დაგვაკმაყოფილებენ. გამარჯვების იმედი გვაქვს. იმათ წინააღმდეგ, რომელთაც კავშირს უღალატეს, ღონისძიებაა მიღებული".

✦ **ფ.-ტ. მოხელეთა მიტინგის რეზოლიუციის დამატება.** ადგილობრივი ბიურო აცხადებს იმათ გვარებს, ვისაც ბოიკოტი გამოეცხადა გაფიცვის წინააღმდეგ მოქმედებისათვის: 1) ფ.-ტ. მოხელე მე-III რიგისა ალ. ნიკ. ივანოვი, 2) ფ.-ტ. ოლქის მმართველობის საქმის მწარმოებლის თანაშემწე კ. ი. სტოცკი და 3) მეხანიკი ა. ა. შტარკი. ამასთანავე ბიურო აცხადებს, რომ დანარჩენ „შტრეიკბრეხერების" (გაფიცვის გამტეხელნი) გვარებიც იქნება გამოცხადებული, თუ დაუყონებლივ არ მოსპობენ თავიანთ მავნე მოღვაწეობას.

✦ **მიტინგი.** ფ.-ტ. მოხელეთა ადგილობრივი ბიურო სთხოვს ამხანაგთ მოვიდნენ მიტინგზე, რომელიც მოხდება დღეს, 2 დეკემბერს, დილის 10 საათზე, ვერაზე, სათავად-აზნ. სკოლის შენობის ახლო.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი — „მამულის საერთო მფლობელობა", თხზ. ანტონ ფურცელაძისა, გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ. ფასი 10 კაპ.

✦ **ექსარხოსის გადადგომა.** საქართველოს ექსარხოსი ამ ორი დღის წინად პეტერბურგს გაემგზავრა. როგორც გავიგეთ, ექსარხოსი აღარ დაბრუნდება.

✦ **დაჭრილი მაჰმადიანები.** ტფ. მიხეილის საავადმყოფოში ამ ჟამად 25 გვამია 22—25 ნოემბერს დახოცილ მაჰმადიანებისა. სამკურნალოს უფროსმა ექიმმა წინადადება მისცა მაჰმადიანებს, წაიღონ და დაკრძალონ გვამები, მაგრამ სომხების შიშით მაჰმადიანები ჯერ კიდევ ვერ გამოდიან ქალაქის ამ ნაწილში.

✦ **მიტინგი.** ჯგუფი მოწაფეთა სოციალისტ ფედერალისტებისა იწვევს ყველა ამხანაგებს (სოც. ფედ. და სოც. რევოლ.) მიტინგზე, რომელიც დანიშნულია შაბათს 3 დეკემბრისთვის ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში, დილის 11 საათ. პეტრე დიდის ქუჩა.

✦ **სამღვდელოების კრება.** ამ თვის შვიდისთვის აპირებენ ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეპარქიო კრების გამართვას.

თაუზი, 30 ნოემბერი. თათრებმა განაცხადეს: ის ორმოცი ვაგონი ხორბალი, რომელიც სადგურზეა, ჩვენია და პოლიცია და ჯარი ნუ დაგვიშლის, უნდა წავიღოთ 1 დეკემბერსაო. ჯარი და პოლიცია ძალიან ცოტაა აქ.

დოლიარი, 30 ნოემბერი. თათრებმა გადასწვეს ბევრი სოფელი. მცხოვრებნი გამხეცდნენ. ერთის ან მეორე პარტიის შეყენება ძნელია. მხოლოდ არტილერიით შეიძლება მოქმედება. გადაარჩინეთ მე-4 და 5 საპოლიციო ნაწილები განჯის მაზრისა.

✦ ავჭალის ქუჩაზედ, თ. ტუსიაშვილის სახლში, იყო თათრის „ხარშნა." ეს თათრები ერთ დღეს დაიჭირეს და ვიღაცეებმა სადღაც წაიყვანეს და დააპატიმრეს. იმავ ღამეს „ხარშნაა" გასტეხეს და მთლად გაქურდეს. ვინ უნდა ბრძანდებოდნენ ეს გმირები?

✦ წ-მ. ნინოს სასაფლაოს აქეთ ელიას ხევისკენ არის თათრების აგურხანები. ერთ აგურხანის სამი თათრის მუშა ისე შეშინებულან, რომ ქურაში შესულან და ცოცხლივ დამარხულან მიწაში. სამ დღეს ყოფილან იქ მშივრები და, რომ დიდად შეწუხებულან შიმშილით, გამოსულან კარში და დაუწყიათ ტირილი: ან დაგვხოცეთ და ან მოგვეცით გზა და უფლება, რომ პური ვიყიდოთ და ვჭამოთო.

—

შეცდომების გასწორება. გუშინდელ №-ში, საჩქარის გამო, რომლით იწყობოდა და იბეჭდებოდა გაზეთი, ბევრი შეცდომაა: ზოგიერთი ახალი ამბავი ორჯელ არის დაბეჭდილი, ქუთაისის ამბებში ერთად არის შეერთებული ბ-ნ კლდეის კორესპონდენცია და ჩამოსულ პირეს ნაამბობი, „დაშნაკც."-ის პარტიისადმი მიმართვა ასე იწყება: „გუშინ, ჩვენის რედაქციის წინ"... უნდა კი იყოს: „გუშინ წინ და სხვა.

ქუთაისის ამბები

—

✦ გუშინდელ წერილში შეგატყობინეთ, რომ გამოიწვია ყაზახებსა და ქუთათურთა შორის გამწვავებული დამოკიდებულება და რით გათავდა წარსული კვირა. იმ წერილის დასამატებლად საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ გამწვავება გამოიწვია სულ უბრალო შემთხვევამ და ეხლაც არ იცის კაცმა, რით გათავდება დღევანდელი არეული დრო. ორმა ახალგაზდამ მოუღერა, იქნება სახუმაროთაც, ყაზახებს თოფი და ის იყო და ის — დაიწყო ის, რის დაწყებას ყველა ერიდებოდა — ერთის მხრით ხალხი დადგა და მეორეს მხრით ყაზახები. სხვა დროს ასეთი შემთხვევა არავის ყურადღებას არ მიიქცევდა და დღეს-კი შეიძლება ყველასათვის უსიამოვნოთ გათავდეს. ის ორი ახალგაზდა, რომელთაც თოფები მოუღერეს ყაზახებს, ან მთვრალები უნდა ყოფილიყვნენ ან და თავ-ქარიანები. ერთი აღმოჩნდება თუ მეორე არავინ იცის და ეს-კი შეიძლება, რომ საქმე უმაღლეს ხარისხამდე გამწვავდეს, თორემ ამას შემდეგიდანაც დაინახავთ.

28 ნოემბერი მშვიდობიანად გათენდა. თუმცა ბარიკადები არ იყო ალაგებული, მაგრამ ხალხი ჩვეულებრივ შრომას მისცემოდა. მოქალაქენი თავთავიანთ საქმეზე წავიდნენ. ბარიკადების აულაგებლობა ეტლებისა და წყლის ბოჩკების მიმოსვლას უშლიდა ხელს, რამაც ბევრი უსიამოვნობა მიაყენა ბევრს ოჯახს. უწყლობამ ბევრი მეტად შეაწუხა.

მიუხედავად გარეგნულ სიმშვიდისა, გუბერნატორთან დიდი მისვლა-მოსვლა იყო, დილის თერთმეტ საათზე მასთან შეიკრიბნენ ადგილობრივ ორგანიზაციის წარმომადგენელნი, რომელთაც დიდხანს ეთათბირა, მაგრამ წარმომადგენლებმა გადაწყვეტილი არა უთხრეს-რა გუბერნატორს, თუმცა აღუთქვეს, რომ შეერთებულის ძალით ვეცდებით ხალხი დავაშოშმინოთ, თუ, რასაკვირველია, ყაზახების მხრით პროვოკაცია არ იქნებაო. საბოლოვო პასუხის მიცემა ყველა კითხვებზე და აგრეთვე ბარიკადების ალაგების შესახებ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აღუთქვეს გუბერნატორს საღამოსათვის.

გათავდა თუ არა ეს მოლაპარაკება, გუბერნატორთანვე შეიკრიბნენ სამხედრო უწყების წარმომადგენელნი გენერალ შიშკოვსკის მეთაურობით. რა ილაპარაკეს ამ თათბირზე, ძნელი სათქმელია, ეს-კია, რომ პატარა ხანს უკან ხალხში ხმა გავარდა, რომ ყაზახებს და იმათ უფროსებს განუცხადებიათ, რადგან ადგილობრივი მცხოვრებლები ზიზღითა და სიძულვილით გვიყურებენ, უმჯობესია ქუთაისიდან სხვა ადგილს გადავიდეს ჩვენი შტაბ-კვარტირა და მანამდის კი ყოველ ზომებს მივიღებთ, რომ ხალხთან შეტაკება არ მოგვიხდეს და ტყუილი უბრალოდ სისხლი არ დაიღვაროსო. ამავე დროს ყაზახის პოლკის წარმომადგენელთ განეცხადებინათ, რომ რადგან ხალხი აღელვებულია და ყაზახის გამოსვლას ქალაქში შეუძლია განაახლოს შეტაკება, ჩვენ მზად ვართ რამდენისამე დღით ყაზახები ყაზარმებიდან არსად გავუშვათ, თუ, რასაკვირველია, პოლკისათვის საჭირო სურსათს და წყალს მოგვიტანს ვინმეო. ეს წინადადება მიღებულ იქმნა და მაშინვე მოეწყო საქმე პოლკის დაბრუნებისა რამდენისამე დღით და 28 და 29 ნოემბერს არც ერთი ყაზახი ქუჩაში არ გამოსულა.

მიუხედავად ასეთ განცხადებისა, საღამოს 4 საათამდე ბარიკადები ქუჩებში და გაბმული მავთულები მოუხსნელი დარჩა. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ითათბირეს და რა მიიღეს მხედველობაში ყაზახების განცხადება და ის გარემოებაც, რომ შეერთებულის ძალით მოწყობილი ქალაქის დაცვის საქმე ცოტათ თუ ბევრად უზრუნველ ჰყოფს მცხოვრებთ მოულოდნელ შემთხვევისაგან, გადასწყვიტეს ბარიკადების ალაგება. საღამოს 7 საათზე ბარიკადები ალაგდა და ქუჩებში ჩვეულებრივი მოძრაობა დაიწყო ხალხისა და ეტლებისა.

ყველას გულზე მოეშვა, ყველა დაშოშმინდა; აღარავის ეგონა, რომ პატარა ხნის შემდეგ სულ მცირე შემთხვევა მთელ ქალაქს ფეხზე დააყენებდა და შიშის ზარი აიტანდა მრავალ მოქალაქეს. ღამის 9 საათამდის სიწყნარე და სიჩუმე არსად დარღვეულა, ათის ნახევარზე გავარდა თოფი, მას მოჰყვა რამდენიმე სხვა სროლა. პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ ყურები სცქვიტა, ყველა ახსნას ცდილობდა მოულოდნელ სროლის ატეხისას და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა თავისებურად ხსნიდა. ზოგი ამბობდა, ყაზახებმა მზაკვრად მოგვატყუესო, ზოგი სტაროსელსკის სდებდა ბრალს, რომ შეცდომაში შეგვიყვანა და იმის სიტყვებზე დავემყარეთ და ბარიკადები ავალაგეთო, ისმოდა ეგრეთვე საყვედური ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ, რომ მათ ადვილად არ უნდა დაეჯერებინათ, ვითომ ყაზახები დამშვიდნენ და შიში აღარსაიდან მოგველისო. ჩოჩქოლი და არეულობა დიდ ხანს არ გაგრძელდა — ქუჩებში გამოვიდა შეიარაღებული ხალხი, უიარაღონი ბარიკადების კეთებას და მავთულების გაბმას შეუდგნენ. ეკლესიებში ხშირი ზარის რეკა ასტყდა. პატარა ხანს უკან გაბმული სროლა ასტყდა. მიუხედავად ასეთის მდგომარეობისა ხალხი შინ არ დგებოდა და მებრძოლ რაზმს ეხმარებოდა ბარიკადების კეთებაში. არ გასულა ნახევარი საათი, რომ ბარიკადები განაახლეს და ყველა თავის ადგილას იდგა. ორგანიზაციების შეერთებული კომიტეტი შეიკრიბა და მზად იყო ხელმძღვანელობა გაეწია მებრძოლთათვის. უცებ ხალხში ხმა გავარდა, რომ სროლა სულ უბრალო შემთხვევამ ასტეხა და საშიშო არაფერიაო. ასეთმა ხმამ ცოტა არის, შესწყვიტა სროლა და პატარა ხანს უკან მთლად შესწყდა, რადგან მიზეზი სროლის ატეხისა გამოირკვა ამნაირად: ორს ხულიგანს განუზრახავს ბესარაბიის პოლკის უფროსის შიშკევიჩის სახლის გაქურდვა. შიშკევიჩი ამ დროს შინ არ ყოფილა და მის მსახურს ჯარის-კაცს ქურდების დასაშინებლად რევოლვერი დაეცალა; იქვე მახლობლად მდგომ ჯარის კაცს გაუგონია შიშკევიჩის სახლთან გავარდნილი რევოლვერის ხმა წარმოუდგენია, რომ პოლკის უფროსი მოჰკლეს და მაშინვე პოლკში წასულა ამ ამბის სათქმელად; ჯარის კაცებს გაუგიათ თუ არა ეს ამბავი, მაშინვე „ტრევოგა" დაუკრავთ, გამოსულან და აუტეხიათ სროლა. საბედნიეროდ შიშკევიჩი მახლობლად ყოფილა, შეუტყვია ეს ამბავი, მაშინვე მისულა ჯარის-კაცებთან, უბრძანებია სროლის შეწყვეტა და ამავე დროს ორი აფიცერი გაუგზავნია ქალაქისკენ იმ აზრით, რომ აღელვებულ ხალხისათვის შეეტყობინებინა საქმის გარემოება და მის დამშვიდება. მართლა აფიცრები მალე გაჩნდნენ ხალხში, რომელმაც აფიცრებს მადლობა გადაუხადა და პატარა ხნის შემდეგ ნელნელა დაიშალა. ორგანიზაციები მაშინვე შეუდგნენ იმ ავაზაკის ძებნას, რომელმაც განგაში გამოიწვია და ქალაქი კინაღამ არ ჩააგდო გაჭირვებულ მდგომარეობაში. აღმოჩნდა, რომ ეს საქმე ჩაიდინა შორაპნელმა ცქიტიშვილმა, რომელიც უკვე შეიპყრეს და ჯერ ჯერობით არავინ იცის, თითონ ორგანიზაციები გაასამართლებენ მას თუ გუბერნატორს გადასცემენ.

გამოირკვა, რომ იმ ორ კაცს, რომელნიც ყაზახებს დახვდნენ ბალახვანის ქუჩაზე და სროლა ასტეხეს, არავითარი დამოკიდებულება არც ერთ ორგანიზაციასთან არა აქვთ. ერთ მათგანს, როგორც ისმის, კაცის კვლა ბრალდება.

დაჭრილ სტუდენტ პეტროვის მდგომარეობა თუმცა სამძიმოა, მაგრამ შიშს სიკვდილისას არ იწვევს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში პეტროვის ოჯახიდან მოუკლავთ ყაზახებს მისი და და ძმა და თითონ მესამე მსხვერპლია.

✦ ქუთაისის და ფოთის ამბები უცებ გავრცელდა პროვინციაში. რაღა ლაპარაკი უნდა იმას, რომ რაც მოხდა ერთი ათასად გაადიდეს. ამან აღელვა რასაკვირველია ხალხი და ბევრგან მოემზადნენ ქუთაისსა და ფოთში წასასვლელად და საშველად. მაგალითად, ხონიდან ამბავი მოვიდა, რომ იქიდან რამდენიმე ათასი კაცი წამოვიდა ქუთაისში, გამოიარა 17 ვერსი სოფ. მაღლაკამდე და მარტო აქ შეიტყეს, რომ საიმისო არა მომხდარა-რა და ისევ დაბრუნდნენ. ამ ნაირივე ამბავი მოვიდა სამტრედიიდან, ყვირილიდან და სხვა ადგილებიდან. ფოთიდან მოსულებმა სთქვეს, რომ მრავალ ხალხი შეკრებილა ქვალონის სადგურთან ფოთში წასასვლელად. ხალხი მარტო მაშინ დაშლილა, როცა ფოთიდან წამოსულს საგანგებო მატარებლით გენერალ შიშკოვსკის დაუშოშმინებია ხალხი, რომელიც შემდეგ ამისა დაშლილა.

✦ არეულობამ გაათამამა ხულიგანები და იარაღის მოპოვების მსურველნი. 28 გიორგობისთვეს თითქმის ერთსა და იმავე დროს დაეცნენ ოლქის სასამართლოს შენობას და პოლიციას; იარაღი რომ არ იკმარეს, ქაღალდები დახიეს, ქალაქის დარაჯების ტანისამოსი წაიღეს და სხვა მრავალი ამისთანა უგვანი საქმე ჩაიდინეს. ახლად შემდგარი რაზმი ქალაქის დაცვისათვის იმედს იძლევა, რომ მძარცველებს აღმოავაჩენთ.

✦ ხოპერის პოლკის აფიცრებს თათბირი ჰქონიათ პოლკის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ და, როგორც გავიგეთ, გადაუწყვეტიათ, მიმართონ უმაღლეს მთავრობას, რომ პოლკს საპოლიციო მოვალეობის ასრულებას ნუ მიანდობენ. როგორცა სჩანს, უკანასკნელ ამბებს თავისი გავლენა მოუხდენია ცნობილ ყაზახებზე.

✦ ქუთაისში მომხდარმა შეტაკებამ და ამით გამოწვეულმა აღელვებამ შეაერთა ყველა ორგანიზაციები საერთო მტერთან — ყაზახებთან საბრძოლველად, მაგრამ ხალხს ჰყავს კიდევ ერთი მტერი — მე მოგახსენებთ იმ უგვანო პირებზე, რომელნიც პარტიების სახელით დადიან სახლებში [illegible] იარაღის გარდა ძარცვა-გლეჯასაც [illegible]. სწორედ ამ პირთა ასალაგმავად შეთანხმებულმა ორგანიზაციებმა გამოსცეს შემდეგი პროკლამაცია:

მოქალაქეთა საყურადღებოდ. წინადაც იყო გამოცხადებული, რომ მომქმედ პარტიების ადგილობრივი კომიტეტები აღარ ჰკრებენ იარაღს კერძო პირებისა და ოჯახებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ბოლო დროს, ძლიერ გახშირდა ოჯახებში იარაღის ჩამორთმევა, ვითომდა ამა თუ იმ კომიტეტის მინდობილობით. ხელმეორედ ვაცხადებთ, რომ კომიტეტისაგან აღარავინ არ არის დავალებული იარაღი შეჰკრიბოს და ნურც ვინმე აძლევს მათ იარაღს. ვინც შემჩნეული იქნება ამგვარს ბოროტ-მოქმედებაში, მათ წინააღმდეგ კომიტეტების მიერ მიღებულ იქნება სასტიკი ღონისძიებანი. ამასთანავე მივმართავთ მოქალაქეთა კეთილ გონიერებას: ვისაც იარაღი აქვს და არ შედის ამა თუ იმ პარტიის წითელ რაზმში, უთავბოლოდ ნუ ხმარობენ იარაღს და ნუ აღელვებენ საზოგადოებას. იმ პირებს, რომელნიც მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, კიდევ განაგრძობენ იარაღის ხმარებას, იარაღი ჩამოერთმევათ და ორგანიზაციებს გადაეცემათ.

ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ., იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ., ქუთაისის კომიტეტი ს. რევ. პ., ქუთაისის კომიტეტი ს. ფ. სარევ. პ.

იმედია, მოქალაქენი მიიღებენ ამ მოწოდებას მხედველობაში და შესაფერ პასუხს გასცემენ სხვის საკუთრების მოყვარულთ.

✦ ფოთიდან მოსულმა დეპუტაციამ 22 ნოემბერს შეატყობინა გუბერნატორს ჯარის მიერ გამოწვეული არეულობა და სთხოვა მას ჯარის მოსარჯულებლად და ხალხის დასაშოშმინებლად ფოთში წასვლა. გუბერნატორმა დეპუტაციის თხოვნა ვერ შეასრულა და 27 და 28 ნოემბერს ქუთაისში მომხდარი ამბების გამო. გენერალ შიშკოვსკის სთხოვა ფოთში წასვლას საქმის გამოსარკვევად და ჯარის დასაშოშმინებლად. გუშინ, 29 ნოემბერს, გენერალი დაბრუნდა იმავე საგანგებო მატარებლით. როგორც ისმის, კარგი ამბავი მოიტანა ფოთიდან.

29 ნოემბერს ოლქის სასამართლოს შენობაში მოხდა მოხელეთა კრება, რომელსაც აზრად ჰქონდა გათვალისწინება დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობისა და ქუთაისში მომხდარ ინციდენტისა. კრების თავმჯდომარემ ხორზონმა აცნობა შეკრებილ მოხელეთ, რომ ხალხი მეტად აღელვებულია ყაზახების მოქმედებით და საჭიროა შევიტყოთ, რა მოელის ქალაქს. რადგან პასუხის გაცემა ამ კითხვებზე არც ერთ დამსწრეს არ შეეძლო, ოლქის სასამართლოს პროკურ. ტოლპიგოს სთხოვეს გუბერნატორთან წასვლა და მის მოწვევა კრებაზე.

ნახევარ საათის შემდეგ გუბერნატორი მოვიდა კრებაზე და შეკრებილნი დააშოშმინა იმ მხრით, რომ ფათერაკი მოსალოდნელი არ არის. გუბერნატორის თანადასწრებით აღიძრა საკითხი მოხელეთა გაფიცვის შესახებ. გუბერნატორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ეხლა, როცა ყოველი მოხელე საჭიროა, რომ ქალაქს განსაცდელი აიცილოს, გაფიცვა დანაშაულად უნდა ჩაითვალოსო, და ურჩია დამსწრეთ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით განუხილველად დასტოვონ. შემდეგ ამისა გუბერნატორმა განაცხადა რომ კრებაზე დარჩენა საჩქარო და დაუყოვნებლივ საქმეების გამო არა შეუძლია, და წავიდა. შემდეგ ამის კრებამ დიდხანს ითათბირა გაფიცვისა და ყაზახების გაყვანის შესახებ ქუთაისიდან და ორი გადაწყვეტილება გამოიტანა: გაიგზავნოს დეპუტაცია ნამესტნიკთან იმ აზრით, რომ დეპუტაციამ აცნობოს შეუძლებელი მდგომარეობა ქუთაისის ყაზახების თვით-ნებობის შესახებ და სთხოვოს ყაზახების გაყვანა ქუთაისიდან; დეპუტატებად აირჩიეს: ა. ა. ვერმიშევი, ს. ლ. ბახტაძე და კრების თავმჯდომარე ხორზონი. საკითხი გაფიცვის შესახებ უარ-ყოფილ იქმნა.

—

30 ნოემბერს ბულვრის მახლობლად ვიღაცამ რევოლვერი დასცალა. ახლად შემდგარმა მილიციამ მაშინათვე დაატუსაღა დამნაშავე და გადასცა ორგანიზაციების შეერთებულ კომიტეტს. ამ ნაირივე ამბავი მოხდა რიონის პირად.

—

30 ნოემბერს სხდომა ჰქონდათ ოლქის სასამართლოს წევრებს პროკურორის თანადასწრებით იმის შესახებ, რომ შესაძლებელია თუ არა სასამართლოს მოქმედება იმ დროს, როცა ხალხი სასამართლოს უარს ჰყოფს და წინააღმდეგია ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა. ბევრის თათბირის შემდეგ გადაუწყვეტიათ, რომ მოქმედება არ შეაჩერონ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბას ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. ჩ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—21).

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ."-სა. განჯის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.